საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

2020 წლის წლიური ანგარიში პროგრამების შესახებ

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

<u>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>

1.1 **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი** საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)

განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 01	<u>საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება</u>	584 834.0	557 647.0	557 152.5	99.91%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

• საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) „სისტემური განახლების“ პროცესის ფარგლებში, საპოლიციო საქმიანობის შინაარსობრივი და სტრუქტურული რეფორმირების მიზნით, გრძელდებოდა მუშაობა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიმართულებით. ეტაპობრივად ხორციელდებოდა ღონისძიებები მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვის მიზნით, რომლის მთავარი მიზანია პოლიციის პრევენციული საქმიანობის გაძლიერება.

• საანგარიშო პერიოდში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 262 მართლწესრიგის ოფიცერი და 64 მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი, მათგან 4 ოფიცერი გადის სწავლებას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამინისტროს აკადემიაში. მართლწესრიგის ოფიცრის თანამდებობაზე 2020 წლის განმავლობაში დაინიშნა 53 ახალი თანამშრომელი, ხოლო მართლწესრიგის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე - 1;

• დამტკიცდა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია და 2020-2021 წლების შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა საქართველოში“ - მხარდაჭერითა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით;

• პოლიციასა და მოსახლეობას შორის ნდობის გამყარების მიზნით, მართლწესრიგის ოფიცრები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში; მართლწესრიგის ოფიცრები, ასევე, აქტიურად მონაწილეობდნენ პანდემიით გამოწვეული სიტუაციის მართვისა და დაავადების გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების შემცირების პროცესში;

• მიმდინარეობდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობაზე მუშაობა. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (შემდგომში - ILP), როგორც მოდელი, მიზნად ისახავს დანაშაულის შესახებ ინფორმაციისა და დანაშაულის ანალიზის ერთიანი სისტემის დანერგვას, რისკების უკეთ სამართავად და პროაქტიული საპოლიციო საქმიანობის მხარდასაჭერად, რაც მიმართულია დანაშაულის ეფექტიანი პრევენციისა და მასზე დროული, პროპორციული რეაგირებისკენ. შემუშავდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები;

• ILP-ის ეფექტიანად განხორციელებისათვის სამინისტროს მიერ შემუშავდა და დაინერგა სხვადასხვა სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა;

• მონაცემთა პირველადი შეგროვების პროცესის ავტომატიზაციისა და ერთგვაროვნების მიზნით, შემუშავდა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის განახლებული კონცეფცია (E-Police) და შესაბამისი ტექნიკური დავალება, რომელიც მოიაზრებს, როგორც საპოლიციო რესურსების სწორ და დროულ გადანაწილებას, ასევე, პირადი შემადგენლობის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების კომპონენტს;

• მიმდინარეობდა მუშაობა ინტერაქტიური რუკის (maps.pol.ge) განახლება/გაუმჯობესებაზე;

• სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ექსპერტიზის სამმართველოს, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის საგამოცდო ლაბორატორიის ხელახალი აკრედიტაცია, საერთაშორისო სტანდარტის ISO17025-ის ახალი ვერსიის (ISO17025:2017) მიხედვით;

• სენაკის, ჭიათურის და სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაიხსნა სამედიცინო პუნქტები, სადაც ჯამში დასაქმდა 3 ექიმი; სამედიცინო პუნქტები აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და ავეჯით. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 30 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სამედიცინო პუნქტი უკვე 23-ში ფუნქციონირებს.

• ამოქმედდა ქ. თბილისის დროებითი მოთავსების ახალი იზოლატორი და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება;

• საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში არსებულ გასასეირნებელ სივრცეში დამონტაჟდა სავარჯიშო მოწყობილობები, ასევე ამავე იზოლატორში მოთავსებული პირებისთვის განკუთვნილი აქტივობების ოთახი აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, ბიბლიოთეკით და ავეჯით;

• სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული საგამოძიებო ოთახები აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით;

• სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, (მდებარე კ. ჩალაძის ქ. №1) გარემონტდა და მოეწყო არასრულწლოვნების საქმეთა სამმართველოსათვის განკუთვნილი სივრცე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნა ბავშვის ინტერესებზე მორგებული გარემო და შესაბამისი დაკითხვების ოთახი;

• სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში, ქალაქ ქუთაისში, ნიუპორტის (გელათის) ქ. №2 მოეწყო და გარემონტდა არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი სივრცე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნა ბავშვის ინტერესებზე მორგებული გარემო და შესაბამისი ოთახი;

• სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტში, დუისის პოლიციის განყოფილებაში მოეწყო და გარემონტდა არასრულწლოვნების განკუთვნილი სივრცე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნა ბავშვის ინტერესებზე მორგებული გარემო და შესაბამისი ოთახი;

• სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში, ქალაქ ბათუმში მოეწყო და გარემონტდა არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი სივრცე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნა ბავშვის ინტერესებზე მორგებული გარემო და შესაბამისი ოთახი;

• სამინისტროში შექმნილია ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას მოწმეების და დაზარალებულების კონსულტირებას საქმის გარშემო და დადგენილ პროცედურებზე. საანგარიშო პერიოდში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურს დაემატა 9 (ცხრა) ახალი თანამშრომელი;

• სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებულ მიგრანტებს გაეწიათ სამედიცინო მომსახურება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში;

• განხორციელდა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის და მიმღები ცენტრის სხვადასხვა დასახელების მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ადმინისტრაციული შენობის სველი წერტილების კაპიტალური რემონტი. ასევე, ინტერნეტის და დენის ქსელის მოწყობა;

• სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის პირველ სართულზე არსებულ ექიმების ოთახს და დერეფანს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, თავშესაფრის მაძიებელთათვის მოეწყო და გარემონტდა ინდივიდუალური შემოსასვლელი, მიმღები და გამანაწილებელი ოთახი, შეკეთდა სავენტილაციო სისტემა, დეპარტამენტის მეორე სართულზე მოეწყო დამატებით სარეკრეაციო ოთახი;

• სამინისტროს მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, ორი უცხოელისთვის განხორციელდა სამგზავრო ავია-ბილეთის შეძენა, მისი წარმოშობის ქვეყანაში იძულებით დაბრუნების მიზნით;

• განხორციელდა სოფელ მარტყოფში არსებული სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა;

• თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის პირველ კორპუსში განხორციელდა ცხელი წყლის სისტემის შეცვლა;

• შენობის პირველ სართულზე მოეწყო მკაცრი ზედამხედველობის და შშმ პირისთვის დამატებით თითო ოთახი. დეპარტამენტში არსებულ მკაცრი ზედამხედველობის და შშმ პირის ოთახებს ჩაუტარდათ კოსმეტიკური რემონტი;

• დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2020 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პრომეთეს პროექტის ფარგლებში საფრანგეთში (ფრანგულ აეროპორტებში) ქართველი პოლიციელების წარგზავნის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს;
- ✓ ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ესპანეთის სამეფოს უსაფრთხოების სახელმწიფო სამდივნოს (სამოქალაქო გვარდიის გენერალური დირექტორატი) შორის ორგანიზებული დანაშაულის თაობაზე ერთობლივი ანალიზის ჯგუფის შექმნის შესახებ“ პარტნიორობის შესახებ განცხადებას;

- ✓ ძალაში შევიდა შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ ძალაში შევიდა შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ ძალაში შევიდა ოქმი „საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე“;

- **ხელმოსაწერად მომზადდა შემდეგი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები:**

- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ ერთობლივი განცხადების პროექტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ ანტინარკოტიკული ოპერატიული მემორანდუმის პროექტი „იტალიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტის ანტინარკოტიკული სამსახურის დირექტორატსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შორის“;
- ✓ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2021-2022 წლებში შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ ოქმის პროექტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იტალიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2021-2022 წლების თანამშრომლობის გეგმის დამტკიცების თაობაზე“;
- ✓ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩრდილოეთ რაინ–ვესტფალიის ფედერალური მიწის შინაგან და კომუნალურ საქმეთა სამინისტროს შორის“;
- ✓ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მეკლენბურგ–ფორპომერნის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა და ევროპის სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ ურთიერთგანზრახვის მემორანდუმის პროექტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბავარიის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა, მშენებლობისა და ტრანსპორტის სახელმწიფო სამინისტროს შორის საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ“;

- ✓ შეთანხმებისა და მისი საიმპლემენტაციო ოქმის პროექტები „სერბეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ”;
- ✓ ოქმის პროექტი „საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და მონტენეგროს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“;

- **მოლაპარაკებები მიმდინარეობდა შემდეგი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების მიზნით:**

- ✓ პარტნიორობის შესახებ განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ესპანეთის სამეფოს ეროვნულ პოლიციას შორის ორგანიზებული დანაშაულის თაობაზე ერთობლივი ანალიზის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და სლოვენიის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და ტაჯიკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“;
- ✓ შეთანხმებისა და შეთანხმების რეალიზაციის თაობაზე განმახორციელებელი ოქმის პროექტები „ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის პირთა რეადმისიის შესახებ“;
- ✓ ოქმის პროექტი „საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“;
- ✓ ოქმის პროექტი „საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე“;

- ✓ შეთანხმების პროექტი ნოტების გაცვლის გზით „საქართველოს მთავრობასა და ესპანეთის სამეფოს მთავრობას შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთცნობისა და გადაცვლის შესახებ“;
- ✓ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და შეცვლის (კონვერტაციის) შესახებ“;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანებისა და „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავარობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით ასევე სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი შეზღუდვების აღსრულების პროცესი;
- კორონა ვირუსთან ბრძოლის ღონისძიებების ფარგლებში სამინისტროს საექსპერტო - კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ შესაბამისი სადეზინფექციო ხსნარების დამზადება სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებისთვის, რისთვისაც შეძენილ იქნა ეთანოლის სპირტი, 50% წყალბადის ზეჟანგი, გლიცერინი და გამოხდილი წყალი;
- სამინისტროს საექსპერტო - კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ სამინისტროს სისტემის ადმინისტრაციული შენობების ვირუსების საწინააღმდეგო ხსნარებით დამუშავება, რისთვისაც შეძენილი იქნა შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებები;
- „კოვიდ 19“-თან ბრძოლის ღონისძიებებში ჩართული სამინისტროს მოსამსახურეების კვებით უზრუნველყოფა (მშრალი ულუფა);
- ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ ამოქმედებული შეზღუდვებიდან გამომდინარე სასამართლო პროცესების დისტანციურად ჩატარების მიზნით სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად 35 ცალი ნოუთბუქის შესყიდვა, ასევე, განხორციელდა იზოლატორების უზრუნველყოფა ულიმიტო ინტერნეტით;
- „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავარობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულების შესაბამისად „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „56 17 – StopCoV ფონდიდან“ ახალი კორონავირუსის (SARS-COV-2) გავრცელების წინააღმდეგ განხორციელებული/განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო შესაბამისი თანხები, რომელიც ძირითადად მიმართული იყო საქართველოში, COVID 19 - ის "მეორე ტალღით" გამოწვეული მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვის მიზნით, PCR ლაბორატორიულ კვლევების ჩატარებისათვის, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისთვის საჭირო დამატებითი აპარატურისა და თანმდევი სახარჯი მასალების შესყიდვაზე;
- სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისთვის მას-სპექტრომეტრის სახარჯი და სათადარიგო მასალების, საექსპერტო სისტემის - „XRY & XAMN Bundle” პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის განახლების მომსახურების და ლაბორატორიული დანადგარების სახარჯი მასალების შესყიდვა;
- განახლდა სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ბაზა;
- განახლდა სამინისტროს ავტოპარკი;
- განხორციელდა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებით აღჭურვის პროექტი;

• მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესების ფარგლებში 2020 წლის პირველი ივლისიდან განხორციელდა სამინისტროს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების მატება 125 ლარით.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შემდეგი მრავალწლიანი პროექტები:

• საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო სასაზღვრო ზოლთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის, სახმელეთო სასაზღვრო სექტორის სამშენებლო სამუშაოები;

• ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა №17-ში ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

• ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №1-ში მდებარე შენობა №23/2 სარემონტო და შენობაზე საქვაბე ნაგებობის მიშენების სამუშაოები;

• ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქუჩა №38-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიაზე 300 კვ.ტ სიმძლავრის მზის ელემენტების მოსაწყობად, ლითონის კონსტრუქციების მოწყობის სამშენებლო და სატრანსფორმატორო შენობაზე მზის ელემენტების მართვის აპარატურისთვის მიშენების სამუშაოები.

• ქ. თბილისში, გულუას ქ. №8-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები;

• ქ. თბილისში, გორგასლის ჩიხი №75-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული №8 და №11 შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოები;

• გურჯაანში, ნონეშვილის გამზირი №6-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის, დროებითი მოთავსების იზოლატორის შენობის, ძაღლების ვოლიერის შენობის, დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

• თბილისში ქერჩის ქ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები (სამინისტროს მხრიდან პროექტის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხები სრულად გადახდილია, დანარჩენი თანხების ანაზღაურება ხორციელდება სამინისტროს თანამშრომლების მიერ);

• რუსთავში XX მიკრო/რაიონს, XXI მიკრო/რაიონსა და ლეონიძის ქუჩას შორის მიმდებარედ, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები (სამინისტროს მხრიდან პროექტის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხები სრულად გადახდილია, დანარჩენი თანხების ანაზღაურება ხორციელდება სამინისტროს თანამშრომლების მიერ);

• ბათუმში, ადლიას ქ. №112-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები (სამინისტროს მხრიდან პროექტის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხები სრულად გადახდილია, დანარჩენი თანხების ანაზღაურება ხორციელდება სამინისტროს თანამშრომლების მიერ), შენობის მშენებლობა შეწყდა რადგან მომწოდებელი ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს;

• ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაჩიანში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები, შენობის მშენებლობა შეწყდა რადგან მომწოდებელი ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს;

• ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;

• დაბა აბასთუმანში, რუსთაველის ქ. №30-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები;

• დაბა აბასთუმანში პოლიციის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;

• საჩხერეში, ივანე გომართლის ქუჩა №22-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო, ღია ფარდულის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ქ. თბილისში, გულუას ქუჩა ქ. №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ხის კარების სამონტაჟო სამუშაოები;

• გორში, მშვიდობის გამზირზე მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ძაღლებისთვის ვოლიერების სამშენებლო სამუშაოები;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

• წალენჯიხაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის, სავარჯიშო კოშკურის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

• ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა №5-ში მდებარე, სამინისტროს ტერიტორიაზე განთავსებული №18 და №38 შენობების სარემონტო სამუშაოები;

• თბილისში, გულუას ქუჩა №8-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ყაზარმის სარემონტო სამუშაოები;

• ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძიბახევში სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები, ასევე ტერიტორიის უსაფრთხოების ნორმების გაძლიერებისთვის საჭირო სამუშაოები, ავტოსადგომის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები;

• ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა №1-ში მდებარე, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის III სამმართველოს ტერიტორიაზე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები;

• ქ. თბილისში ანა პოლიტკოვკაიას ქ. №69-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №5(1) სარემონტო სამუშაოები;

• ქ. თბილისში გულუას ქ. №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე სარემონტო სამუშაოები;

• დასრულდა გორში, ცხინვალის გზატკეცილის მე-5 კილომეტრზე მდებარე სამინისტროს შიდა ქართლის სამმართველოს ტერიტორიაზე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები;

• ქ. თბილისში გახოკიძის ქუჩა №19-ში განთავსებულ სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შენობის I სართულზე, წესრიგის დამრღვევთა და შშმ პირთათვის ოთახების მოწყობის სამუშაოები;

• ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა №5-ში და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საგუშაგო კოშკებისთვის ექვს-ექვსი მეხამრიდისა და მეხამრიდებისთვის დამიწების კონტურების მოწყობის სამუშაოები;

• ჩხოროწყუში, ცანავას ქ. №15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის, სავარჯიშო კოშკურის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

• დაბა მესტიაში, კახიანის ქ. №37-ში მდებარე სამინისტროს შენობაში სარემონტო და მიშენების სამუშაოები;

• ქ. თბილისში გახოკიძის ქ. №16-ში მდებარე სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო დაცვის საკითხების სამმართველოს ოთახების მოწყობის სამუშაოები;

• ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორისთვის დამხმარე შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები;

• ახალქალაქში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №5/1-ში და №5-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №06/2-ს სარემონტო სამუშაოები;

• სიღნაღში, ბარათაშვილის ქუჩა №1ა-ში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში კახიანის ქუჩა №14-ში, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, გ. აბაშიძის ქუჩა №14-ში, სენაკში ტაბიძის ქუჩა №1-ში, ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა №124ა-ში, ოზურგეთში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №3-ში მდებარე, სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების სარემონტო სამუშაოები და ოზურგეთში ი. ჭავჭავაძის ქუჩა №3-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიშენების სამუშაოები;

• ქ. რუსთავში, XII მ/რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

• ქ. ფოთში მშვიდობის ქ. №8-ში განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;

• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ანაკლიაში მიწის ნაკვეთზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო და წყალზე სამაშველო შენობების სამშენებლო სამუშაოები.

• მარტვილში მდებარე მიწის ნაკვეთზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები;

• მცხეთაში, სამხედროს ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01 სარემონტო, ავტოსამრეცხაოს სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

• ქ. თბილისში, ჩალაძის ქ. №1-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მე-7 სართულზე B ბლოკში სარემონტო სამუშაოები;

• ზუგდიდში ბენდელიანის ქ.№35-ში მდებარე (ს/კ 43.31.71.099 და ს/კ 43.31.71.100) და ქ. ქუთაისში ნიკეას ქ.№19 (ნაკვეთი №1-1) მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 03.05.22.707 სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების დაკონსერვების სამუშაოები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

• დანერგილი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას მტკიცებულებათა მოძიების თანამედროვე მეთოდები;

• ამაღლებული ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი;

• ამაღლებული საგზაო უსაფრთხოების დონე და გაზრდილი საგამოძიებო ღონისძიებების ეფექტიანობა;

• დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განვითარებული ოპერატიული და საერთაშორისო თანამშრომლობა;

• დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულყოფილი ფუნქციონირება;

- დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული მიგრანტებისთვის და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა;
- სამინისტროს მოსამსახურეებისთვის განხორციელებული ბინათმშენებლობის პროექტი;
- რეაბილიტირებული სამინისტროს ინფრასტრუქტურა;
- განახლებული სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- განახლებული სამინისტროს ავტოპარკი;
- გაუმჯობესებული საზოგადოებრივი წესრიგის და დანაშაულთან ბრძოლის ხარისხი.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაძლიერებული დანაშაულის პრევენციული ღონისძიებები;
- გაუმჯობესებული საზოგადოებრივი წესრიგის და დანაშაულთან ბრძოლის ხარისხი;
- უზრუნველყოფილი სამართალწარმოების ეტაპზე არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტი;
- უზრუნველყოფილი მოწმის და დაზარალებულების ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტი და შექმნილი ნაკლებსტრესული გარემო;
- საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით განხორციელებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებები;
- გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებები;
- სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით რეაბილიტირებული და აშენებული დროებითი მოთავსების იზოლატორების 93%, გახსნილი დამატებითი სამედიცინო პუნქტები და იზოლატორების 95% სრულად არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით.
- საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების განსათავსებლად - დროებითი განთავსების ცენტრის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის რეაბილიტირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- რეაბილიტირებული სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები;
- აშენებულია პოლიციის ახალი შენობები;
- სამინისტროს მოსამსახურეებისთვის ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში დასრულების პროცესშია საცხოვრებელი ბინები;
- განახლებულია ავტოპარკი;
- სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 6 ლაბორატორიამ მიიღო აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მოთხოვნების შესაბამისად;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულია 262 მართლწესრიგის ოფიცერი; სრულად დაკომპლექტებულია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის სამი მთავარი სამმართველო (ვაკე-საბურთალოს, ძველი თბილისისა და დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოები).

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ფუნქციონირება დაიწყო სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბიოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სრულად გამართული დნმ ლაბორატორია, ლაბორატორიაში ჩატარებული სრულყოფილი დნმ ექსპერტიზები. სამუშაო პროცესი ოპტიმიზებულია და გათვლილია კრიმინალისტიკურ მუშაობის სპეციფიკაზე, გამოძიებისათვის ხარისხიანი და დროული კვლევების მომზადების მიზნით (20-25%). დანერგილი ხარისხის სისტემა ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისობაში მოსაყვანად (50-60%). მომზადებული/გადამზადებული ექსპერტ ბიოლოგები, დანერგილი კვლევის ახალი მეთოდები (30-35%). დანერგილი ხარისხის სისტემა, დამტკიცებული სტანდარტული ოპერაციული სახელმძღვანელოები, მომზადებული განაცხადი მაკრედიტირებელ ორგანოში, საერთაშორისო ISO:17025 აკრედიტაციის მოპოვება. გაზიარებული ევროპული და ამერიკული საექსპერტო ლაბორატორიების საუკეთესო გამოცდილება. ლაბორატორიის წარმადობის ოპტიმალური დონე (მოთხოვნების და მიწოდების თანაფარდობის უზრუნველყოფა). გაღრმავებული საერთაშორისო თანამშრომლობა ლაბორატორიის მზაობა ევროპულ შეთანხმებებსა და ექსპერტთა ქსელში ინტეგრირებისთვის. გაფართოვებული კვლევის მეთოდების, პიროვნების დნმ იდენტიფიკაციის შესაძლებლობები, გამოძიების წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2020 წელს დაგეგმილიდან განხორციელედა:ISO17025:2017 საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით აკრედიტაციის მოსაპოვებლად სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში დამტკიცებული მეთოდური სახელმძღვანელოები, სტანდარტული სამოქმედო და ადმინისტრაციული პროცედურები;

სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტებმა გაიარეს საერთაშორისო პროფესიული ტესტირება, ამერიკული აკრედიტირებული კომპანიების (CTS, RS&A) მიერ მოწოდებული ტესტებით.

სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტები გაწევრიანდნენ სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში დაქტილოსკოპიისა და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზების მიმართულებით.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის გამო, მოხდა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დნმ ლაბორატორიის მუშაობის გადაწყობა და დნმ ექსპერტიზების ჩატარების ნაცვლად, ლაბორატორიაში აქტიურად მიმდინარეობს ახალი კორონა ვირუსის SARS-CoV2-ის PCR (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია) ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.

2. **დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციის UNICEF-ის დახმარებით ქ. რუსთავის პოლიციის შენობაში ბავშვზე მორგებული სივრცე (ბავშვზე მორგებული 30 კვ.მ სტუდიოს

ტიპის სივრცე, აღნიშნული იზოლირებული სივრცე სხვა ოთახებთან დაკავშირებული იქნება დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია შშმპ-სთვის, ხოლო იმავე სივრცეში არსებული დაკვირვების ოთახი აღჭურვილია ვიდეო-აუდიო ჩაწერისთვის საჭირო ტექნიკით); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახური შექმნილია და ფუნქციონირებს ქ. რუსთავში;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის და სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის შენობებში შექმნილი ბავშვის ინტერესზე მორგებული სივრცე (ბავშვზე მორგებული 30 კვ.მ სტუდიოს ტიპის სივრცე, აღნიშნული იზოლირებული სივრცე სხვა ოთახებთან დაკავშირებულია დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია შშმპ-სთვის, ხოლო იმავე სივრცეში არსებული დაკვირვების ოთახი აღჭურვილია ვიდეო-აუდიო ჩაწერისთვის საჭირო ტექნიკით); მოწმისა და დაზარალებულის მინიმუმ 20 კოორდინატორის არსებობა სამინისტროს ყველა ტერიტორიულ ორგანოში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2020 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: დამატებით ფუნქციონირებს ბავშვის ინტერესზე მორგებული სივრცეები, ბათუმში, ქუთაისში და პანკისში. სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში არსებობს მოწმისა და დაზარალებულის 15 კოორდინატორი.

3. **დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - 32 პარტნიორ სახელმწიფოსთან (სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ჩინეთი, ეგვიპტე, ესტონეთი, ფიჯი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისრაელი, იტალია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, მოლდოვა, პოლონეთი, კატარი, რუმინეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, აშშ, უზბეკეთი) ხელმოწერილია შეთანხმება/მემორანდუმი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; ევროპის 6 სახელმწიფოსთან (ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუმინეთი) ხელმოწერილია ერთობლივი განცხადებები ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; გერმანიის 4 ფედერალური მიწის (რაინლანდ–პფალცი, ბადენ–ვიურტემბერგი, ჰესენი, საქსონია) შესაბამის სამინისტროებთან ხელმოწერილია მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ; ევროკავშირთან და 7 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ბელარუსი, დანია, ისლანდია, მოლდოვა, ნორვეგია, შვეიცარია, უკრაინა) ხელმოწერილია შეთანხმებები უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ, ევროკავშირის წევრ 11 სახელმწიფოსთან (ბულგარეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, სლოვაკეთი, გერმანია და რუმინეთი) ხელმოწერილი რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმები, გაფორმებულია 18 ხელშეკრულება საპოლიციო განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (ლვოვის შინაგან საქმეთა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებათა აკადემია, ხარკოვის შინაგან საქმეთა ეროვნული უნივერსიტეტი, ყირგიზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა სამინისტრო, უნგრეთის საჯარო სამსახურის ეროვნული უნივერსიტეტი, მოლდოვის რესპუბლიკის შტეფან ჩელ მარეს სახელობის შსს აკადემია, ბელარუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, თურქეთის ეროვნული პოლიციის აკადემია, სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის საგანმანათლებლო კომპლექსი, მონტენეგროს საჯარო უწყება – დანილოვგრადის პოლიციის აკადემია, სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტო (CEPOL), ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), აშშ-ს ჯორჯიის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასწავლო ცენტრი, ლატვიის პოლიციის სახელმწიფო კოლეჯი, ავსტრიის უსაფრთხოების

დაცვის აკადემია, ევროპის პოლიციის კოლეჯთა ასოციაცია, ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამართალდაცვითი სასწავლო დაწესებულება), დღეის მდგომარეობით სამინისტროს მიერ მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში შეთანხმებები ჯერ არ არის გაფორმებული;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დამატებით 10 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ჩეხეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი, ალბანეთი, სერბეთი, ხორვატია, პორტუგალია, ესპანეთის სამეფო, ბელგია, არაბთა გაერთიანებული საემიროები) ხელმოწერილია შეთანხმება/მემორანდუმი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; დამატებით ევროპის 2 სახელმწიფოსთან (უკრაინა, პოლონეთი) ხელმოწერილი ერთობლივი განცხადებები ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; დამატებით გერმანიის 3 ფედერალური მიწის (ჩრდილოეთ რაინ–ვესტფალია, ბავარია, მეკლენბურგ–წინა პომერანიასთან) შესაბამის სამინისტროებთან ხელმოწერილი მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ; დამატებით 8 პარტნიორ სახელმწიფოსთან (აზერბაიჯანი, სერბეთი, შრი–ლანკა, ლატვია, ჩეხეთი, პოლონეთი, მონტენეგრო და ესპანეთის სამეფო) ხელმოწერილი შეთანხმებები და საიმპემენტაციო ოქმები უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ; ხელმოწერილია შეთანხმებები 2 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ესპანეთის სამეფო და იტალია) მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში; 6 სასწავლო დაწესებულებებთან და სამართალდამცავი ორგანოების აკადემიებთან (დნეპროპეტროვსკის, ოდესის, იტალიის, ლიტვის, პოლონეთის, სამხრეთ კაროლინის) გაფორმებული მემორანდუმები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2020 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: გაფორმებული მემორანდუმი ესპანეთის სამეფოს სამოქალაქო გვარდიასთან.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მსოფლიოში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციიდან გამომდინარე ვერ გაფორმდა: სერბეთთან და ბელგიასთან შეთანხმება, ესპანეთის სამეფოს ეროვნულ პოლიციასთან მემორანდუმი, უკრაინასთან ერთობლივი განცხადება, ჩრდილოეთ რაინ–ვესტფალიასთან მემორანდუმი, ესპანეთთან შეთანხმება, დნეპროპეტროვსკის, ოდესის, იტალიის, ლიეტუვის, პოლონეთის, სამხრეთ კაროლინის შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან და სამართალდამცავი ორგანოების აკადემიებთან მემორანდუმები.

4. **დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - დროებითი მოთავსების იზოლატორების 76% შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან; იზოლატორებში არსებული ინვენტარის 85% ვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - აშენებული გურჯაანის და ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორები და რეაბილიტირებული ძველი იზოლატორები 100%; იზოლატორებში არსებული ინვენტარი განახლებული 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2020 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: გარემონტებული ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ჩატარებულია მცირე კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები 19 იზოლატორში (თელავის, საგარეჯოს, ყვარლის, გორის, ხაშურის, დუშეთის, მცხეთის, რუსთავის, მარნეულის, წალკის, ქუთაისის, ზესტაფონის, ბათუმის, ქობულეთის, ახალქალაქის, ახალციხის, ფოთის, მესტიის და ჩხოროწყუს დროებითი მოთავსების იზოლატორებში);

საჭირო ინვენტარით სრულად აღჭურვილი იზოლატორების 95%;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორის მშენებლობა, დაგეგმილი 2020 წლის 20 დეკემბრის ნაცვლად, კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის შედეგად, სავარაუდოდ დასრულდება 2021 წლის მარტში, ასევე ამავე მიზეზის გამო იზოლატორებში არსებული ინვენტარი განახლდა 95% ნაცვლად 100%-ისა.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებით განთავსების ცენტრში ერთი ოთახია გამოყოფილი შშმ პირისთვის, რის გამოც 2 შშმ პირის განთავსების შემთხვევაში ვერ ხდება სრულყოფილად შესაბამისი ინსტრუქციით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულება; იმის გამო, რომ ეზოში სასეირნო ბილიკი არ არის გადახურული, ცუდ ამინდში ვერ ხერხდება ცენტრში განთავსებულთა გასეირნება. ყოველწლიურად მიმღებ ცენტრში თავსდება საშუალოდ 130 ბენეფიციარი. აქედან გამომდინარე, ცენტრში დგას საბნების, ლეიბების, ბალიშების, პლედებისა, თეთრეულისა და პირსახოცების განახლების საჭიროება; ცენტრის ეზოში არსებული ბავშვთა სათამაშო სივრცე მწყობრიდან არის გამოსული და სრულად ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს; მიმღები ცენტრის პირველი და მეორე კორპუსები საჭიროებს რეაბილიტაციას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ცენტრი უზრუნველყოფილია დამატებით: შშმ პირებისთვის განკუთვნილი - 1 ოთახით; სასეირნო ბილიკზე მოწყობილი მსუბუქი გადახურვა; ცენტრის უსაფრთხოების სამსახური აღჭურვილია დამატებით 8 ერთეული რაციით. მიმღებ ცენტრში განთავსებული ბენეფიციარებისთვის შეძენილი/განახლებული 395 ცალი - საბანი, ლეიბი, ბალიში, პლედი; 700 კომპლექტი - თეთრეული; 570 ცალი - დიდი და პატარა პირსახოცი; განახლებული ბავშვთა სათამაშო სივრცე; მიმღები ცენტრის გარემონტებული: პირველი კორპუსის 740 კვ/მ ფართობის სახურავი, მეორე კორპუსის 1200 კვ/მ ფართობი და ადმინისტრაციული ფლიგელის 350 კვ/მ ფართობი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2020 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: შენობის პირველ სართულზე დამატებით ერთი მკაცრი ზედამხედველობის და ერთი შშმ პირისთვის ოთახის მოწყობა და სასეირნო ბილიკის მოწყობა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიის გამო 2020 წელს ვერ განხორციელდა მარტყოფში ბავშვთა სათამაშო სივრცის (40 მ2 ფართობზე გასწორებული და დაბეტონებული მოედანი; მოწყობილი რბილი საფარი და ფერადი მესერი; დამონტაჟებული 1 სასრიალო; 2 აიწონა-დაიწონა და 2 საქანელა) მოწყობა, მიმღები ცენტრის პირველი კორპუსის 740 კვ.მ ფართობის სახურავის რემონტი და ბავშვთა სათამაშო სივრცის განახლება ბენეფიციარების მომართვიანების რაოდენობა იყო მოსალოდნელზე ნაკლები, რის გამოც მათი თეთრეულით უზრუნველყოფა მოხდა არსებული მარაგით, ასევე 2019 წლის ბოლოს შეძელის იქნა 8 ერთეული რაცია.

6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს ბალანსზე არსებული მდგომარეობით ირიცხება 310 ადმინისტრაციული შენობა მათი მხოლოდ 20% აკმაყოფილებს სამუშაო პირობებს სრულად; თუმცა მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებელია განხორციელდეს ახალი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 20%-ით რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურა; აშენებულია 8 ახალი ობიექტი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2020 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა:

- ✓ აშენებული ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძიბახევში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა (ტერიტორიის უსაფრთხოების ნორმების გაძლიერებისთვის საჭირო სამუშაოები, ავტოსადგომის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები);
- ✓ აშენებული ქ. რუსთავში, XII მ/რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ახალი ადმინისტრაციული შენობა;
- ✓ აშენებული მარტვილში მდებარე მიწის ნაკვეთზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ გრძელდება დაბა აბასთუმანში, რუსთაველის ქ. №30-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ აშენებული წალენჯიხაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობა, მოწყობილი სავარჯიშო კოშკურა და კეთილმოწყობილი ტერიტორია;
- ✓ აშენებული ჩხოროწყუში, ცანავას ქ. №15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობა, მოწყობილი სავარჯიშო კოშკურა და კეთილმოწყობილი ტერიტორია;
- ✓ გარემონტებული ქ. თბილისში ანა პოლიტკოვკაიას ქ. №69-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №5(1);
- ✓ გარემონტებული ქ. ფოთში მშვიდობის ქ. №8-ში განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოფელ ვაჩიანში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა შეწყდა, რადგან მომწოდებელი ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს. 2021 წლის 8 თებერვალს გამოცხადდა ტენდერი შენობის მშენებლობის დასრულების სამუშაოების შესყიდვის მიზნით, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შენობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2021 წლის სექტემბრის ბოლომდე.

7. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება. არსებული მდგომარეობით თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 75%;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 20%-ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2020 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა:

5%-ით განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა (მ.შ. შეძენილია: 510 ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი), სხვადასხვა სახის ავეჯი, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინიალისტიკური დეპარტამენტისთვის: ჰაბიტოსკოპიური სისტემის - "POLYFACE"-ის პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ვერსიის განახლება, "Cellebrite UFED Mobil Forensic Solution"-ის - პროგრამული უზრუნველყოფების - UFED 4PC Ultimate და UFED Cloud Analyzer ლიცენზიების გაგრძელება, არსებული საიდენტიფიკაციო დაქტოლოსკოპიური „АДИС ДАКТО 2000" პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ვადის გაგრძელება, ბალისტიკურ განყოფილებაში არსებული ბალისტიკური ავტომატური საძიებო საიდენტიფიკაციო სისტემის „არსენალის" შეკეთება, სხვადასხვა სახის აპარატურა და სახარჯი მასალა, PCR ლაბორატორიული კვლევების ჩასატარებლად, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური ცენტრების ბაზაზე შექმნილი „კოვიდ ცენტრებისათვის" საჭირო ნაცხის ასაღები ჩხირები, კრიო სინჯარები, შტატივები, სხვადასხვა სახის ლაბორატორიული სახარჯი მასალები; სტრუქტურული დანაყოფების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ნივთიერ მტკიცებულებათა დასალუქი პაკეტები; შინაგან საქმეთა სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის "eflow" სისტემისთვის შემნახველი მასივის და FC კომუტატორები; ჰიპერ-კონვერგენტული ინფრასტრუქტურის სისტემა (თანმდევი მომსახურებით); შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მოსამსახურეებისთვის სამთო აღჭურვილობა; სამინისტროს მოსამსახურეებისათვის შესაბამისი უნიფორმა და აღჭურვილობა).